ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 მაისის №01-06/06
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეების უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელის მინიჭების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2026 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ეკა გოგუაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის მიერ 2025 წელს ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში.

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის დირექტორი: ჯამბულ სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ნაზიმ ჩხეიძე

5. ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმის მიერ 2025 წელს გაწეული სამუშაოს ანგარიში.

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმის დირექტორი: ვაჟა ფარტენაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2026 წლის -- მაისი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106^1-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე.
2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე).
3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 24 ივნისი.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 26 ივნისი.
5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.
6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).
7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ
8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

ცნობა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2026 წლის 23 ივნისს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2026 წლის 24 ივნისს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2026 წლის 26 ივნისი.

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № - -

2026 წლის - - მაისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.134.016234. 09/01/2018) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ე.ს“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.ს[1]“, „ე.ს[2]“, „ე.ს[3]“, „ე.ს[4]“, „ე.ს[5]“, და „ე.ს[6]“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ს[1]) იღებს გადაწყვეტილებას სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხების შესახებ წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და საბჭოსათვის განსახილველად წარდგენაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულისა და პასუხისმგებელი პირ(ებ)ის განსაზღვრის საკითხზე;

ე.ს[2]) იღებს გადაწყვეტილებას მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის და ცნობის გაცემის მიზნით წარდგენილი განცხადების (დოკუმენტაციის) მიღებაზე და მუნიციპალიტეტის მართვის სისტემაში (portal.mms.gov.ge) დარეგისტრირებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის განსაზღვრის საკითხზე;

ე.ს[3]) იღებს გადაწყვეტილებას ქედის მუნიციპალიტეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (MMS) სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საქმისწარმოებაზე, პასუხისმგებელი პირ(ებ)ის (როლების) განსაზღვრის საკითხზე;

ე.ს[4]) იღებს გადაწყვეტილებას მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის განსაზღვრის საკითხზე;

ე.ს[5]) იღებს გადაწყვეტილებას ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხზე;

ე.ს[6]) ამტკიცებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსის მინიჭების განაცხადის ფორმას;“

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ[1]) „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 25 დეკემბრის №587 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესი“-ს მოთხოვნათა შესაბამისად ახორციელებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა სტატუსის მონიტორინგს, შესაბამის მასალებს წარუდგენს მერს და საბჭოს;“

გ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადმინისტრაციული სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: კანონმდებლობის შესაბამისად მერიის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და საქმისწარმოების საკითხების მოწესრიგება; მერიის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის კოორდინაციისათვის ხელშეწყობა; მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა გაერთიანებებთან მერიის ურთიერთობების ორგანიზება; მერიის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება; მერის წარმომადგენელთა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებულ სხვა პირთა მიერ უფლებამოსილების და დავალებების სწრაფი და ეფექტური შესრულების, წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაცია, მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის დამუშავება და არსებული პრობლემების დროული გადაწყვეტა; მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის ადმინისტრირება, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საჯარო ინფორმაციის მიწოდების წესების დაცვის უზრუნველყოფა; მასზე ფუნქციურად მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.“

დ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-18[1] მუხლის მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2[1]. მოხელის თანამდებობის თითოეული დასახელება და იერარქიულ რანგებში განაწილება განისაზღვრება „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის“ განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებით.“

ე) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-18[1] მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგება თითოეული თანამდებობის სპეციფიკის და ამ თანამდებობისთვის დადგენილი სამუშაოს აღწერილობის გათვალისწინებით, სადაც განისაზღვრება ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება (სტაჟი), აგრეთვე დამატებითი ცოდნა და უნარ-

ჩვევები. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები თანხმდება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან და მტკიცდება მერის ბრძანებით.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 26 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

2025 წლის 25 დეკემბრის ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის №587 დადგენილება „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ, აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებისა და სამართლებრივად მოწესრიგების მიზნით საჭიროა შესაბამისი ცვლილებების ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში შეტანა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტში - „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში სათანადო ცვლილების განხორციელება რათა სამართლებრივად კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნული დებულება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში შეიტანოს სათანადო ცვლილებები ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაბამისად განხორციელდა სწორედ აღნიშნულ დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომელიც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგი სახით, რომლის პირველი მუხლით განსაზღვრულია ის ცვლილებები რომელიც უნდა შევიდეს დებულებაში, კერძოდ:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ე.ს“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.ს^{1},“ „ე.ს^{2},“ „ე.ს^{3},“ „ე.ს^{4},“ „ე.ს^{5},“ და ე.ს^{6} ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ს^{1}) იღებს გადაწყვეტილებას სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხების შესახებ წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და საბჭოსათვის განსახილველად წარდგენაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულისა და პასუხისმგებელი პირ(ებ)ის განსაზღვრის საკითხზე;

ე.ს^{2}) იღებს გადაწყვეტილებას მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის და ცნობის გაცემის მიზნით წარდგენილი განცხადების (დოკუმენტაციის) მიღებაზე და მუნიციპალიტეტის მართვის სისტემაში (portal.mms.gov.ge) დარეგისტრირებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის განსაზღვრის საკითხზე;

ე.ს[3]) იღებს გადაწყვეტილებას ქედის მუნიციპალიტეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (MMS) სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საქმისწარმოებაზე, პასუხისმგებელი პირ(ებ)ის (როლების) განსაზღვრის საკითხზე;

ე.ს[4]) იღებს გადაწყვეტილებას მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის განსაზღვრის საკითხზე;

ე.ს[5]) იღებს გადაწყვეტილებას ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხზე;

ე.ს[6]) ამტკიცებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსის მინიჭების განაცხადის ფორმას;“

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ[1]) „მაღალმთიან რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 25 დეკემბრის №587 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესი“-ს მოთხოვნათა შესაბამისად ახორციელებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა სტატუსის მონიტორინგს, შესაბამის მასალებს წარუდგენს მერს და საბჭოს;“

გ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადმინისტრაციული სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: კანონმდებლობის შესაბამისად მერიის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და საქმისწარმოების საკითხების მოწესრიგება; მერიის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის კოორდინაციისათვის ხელშეწყობა; მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა გაერთიანებებთან მერიის ურთიერთობების ორგანიზება; მერიის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება; მერის წარმომადგენელთა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებულ სხვა პირთა მიერ უფლებამოსილების და დავალებების სწრაფი და ეფექტური შესრულების, წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაცია, მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის დამუშავება და არსებული პრობლემების დროული გადაწყვეტა; მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდის ადმინისტრირება, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საჯარო ინფორმაციის მიწოდების წესების დაცვის უზრუნველყოფა; მასზე ფუნქციურად მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.“

დ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-18[1] მუხლის მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მე-2[1]“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2[1]. მოხელის თანამდებობის თითოეული დასახელება და იერარქიულ რანგებში განაწილება განისაზღვრება „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული

რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის“ განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებით.“

ე) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-18[1] მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგება თითოეული თანამდებობის სპეციფიკის და ამ თანამდებობისთვის დადგენილი სამუშაოს აღწერილობის გათვალისწინებით, სადაც განისაზღვრება ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კვალიფიკაცია, სამუშაო სტაჟი, აგრეთვე დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები თანხმდება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან და მტკიცდება მერის ბრძანებით.“

ხოლო წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლი ითვალისწინებ მისი ამოქმედების ვადაც რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 26 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.“

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა დროულად მოწესრიგდეს შემდგომი სამართლებრივი საკითხები.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური (სამსახურის უფროსი ბადრი სურმანიძე).

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
2026 წლის -- მაისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეების უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში მდებარე უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს მიენიჭოს სახელწოდება — „მე-8 ქუჩის I ჩიხი“, ორთოფოტოს თანახმად (დანართი №1).
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს:

ა) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;

გ) საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას;

დ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

ე) ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეების უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელის მინიჭების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამათლებრივი აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამათლებრივი აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვიმმართველობის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მოთხოვნათა შესრულება.

ა.ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში მდებარე უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს მიენიჭოს სახელწოდება — „მე-8 ქუჩის I ჩიხი“, ქედის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

ა.გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის შესაბამისად, ხდება ახალი განკარგულების მიღება, რომელსაც საფუძვლად უდევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 19 მაისის №101337 წერილი და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა.

ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის მიღების პროცესში ადგილი არ ჰქონია კონსულტაციის მიღებას.

დ.ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავებაში არ ყოფილა გაწეული რეკომენდაციები.

დ.ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ზ)ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია.

დანართი N1 (ორთოფოტო).

დასკვნა:**დ95. 95261481**
თარიღი:**28/05/2026**

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის

დასკვნა

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია აღნიშნავს, რომ 2026 წლის 28 მაისს კომისიის №3 სხდომაზე განხილულ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში მდებარე მოქალაქე ხავა მიქელაძის უძრავი ნივთის (ს/კ21.13.32.126) მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელდების თაობაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი (განცხადების ნომერი: 04-95261401-95; განცხადების თარიღი: 20.05.2026).

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს საკრებულოს მორიგ სხდომაზე დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში მე - 8 ქუჩის I ჩიხი ორთოფოტოს თანახმად (დანართი N1).

დაევალოს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს შესაბამისი ინდივიდუალური - სამართლებრივი აქტის, განკარგულების პროექტის ინიციირება.

ლევან ბერიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქედის მუნიციპალიტეტის **2026** წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2026 წლის გეგმა	2026 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
I. შემოსავლები	32 984 980	6 799 580	5 718 134
გადასახადები	21 248 400	5 328 675	4 759 215
გრანტები	11 326 220	1 381 080	827 200
სხვა შემოსავლები	410 360	89 825	131 719
II. ხარჯები	23 906 854	6 518 832	5 687 204
შრომის ანაზღაურება	9 993 064	2 849 864	2 571 555
საქონელი და მომსახურება	4 973 070	1 205 332	1 056 006
პროცენტი	1 500	0	0
სუბსიდიები	4 286 240	1 098 100	932 161
სოციალური უზრუნველყოფა	1 835 548	581 304	545 627
სხვა ხარჯები	2 817 432	784 232	581 856
III. საოპერაციო სალდო	9 078 126	280 748	30 929
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 831 634	487 234	104 534
ზრდა	9 861 634	487 234	130 762
კლება	30 000	0	26 228
V. მთლიანი სალდო	-753 508	-206 486	-73 605
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-767 908	-206 486	-73 605
კლება	**767 908**	**206 486**	**73 605**
ვალუტა და დეპოზიტები	767 908	206 486	73 605
VII. ვალდებულებების ცვლილება	-14 400	0	0
კლება	**14 400**	**0**	**0**
საშინაო	14 400	0	0
VIII. ბალანსი	0	0	0

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები,
გადასახდელები

#	შემოსულობების დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის 3 თვე	
			გეგმა	საკასო შესრულება
1	**შემოსულობები**	**33 014 980**	**6 799 580**	**5 744 362**
1,1	შემოსავლები	32 984 980	6 799 580	5 718 134
1,2	არაფინანსური აქტივების კლება	30 000	0	26 228
2	**გადასახდელები**	**33 782 888**	**7 006 066**	**5 817 966**
2,1	ხარჯები	23 906 854	6 518 832	5 687 204
2,2	არაფინანსური აქტივების ზრდა	9 861 634	487 234	130 762
2,3	ვალდებულებების კლება	14 400	0	0
ნაშთის ცვლილება		**-767 908**	**-206 486**	**-73 605**

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობები

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის I კვარტლისათვის მიღებულია 827 200 ლარის გრანტი, მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 80 664 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 668 866 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 4 759 215 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი 4 791 467 ლარი, ქონების გადასახადი - (-32 252) ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 131 719 ლარი, მათ შორის: შემოსავლები საკუთრებიდან 72 252 ლარი, საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან 6 244 ლარი, სანქციები, ჯარიმები და საურავები 12 394 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 40 829 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის
ფაქტიური შემოსულობები

#	**შემოსულობის დასახელება**	საკასო შესრულება	წილი მთლიან შემოსულობებში
1	**შემოსავლები**	**5 718 134**	
1.1	გადასახადები	4 759 215	***83%***
1.2	გრანტები	827 200	***14%***
1.3	სხვა შემოსავლები	131 719	***2%***
ჯამი		**5 645 528**	**100%**

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით
შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქედის მუნიციპალიტეტის **2026** წლის I კვარტლის
ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები



#	შემოსულობების დასახელება	2026 წლის გეგმა	**2026** წლის 3 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	**32 984 980**	**6 799 580**	**5 718 134**	**-1 081 446**	***84,10%***
1,1	გადასახადები	21 248 400	5 328 675	4 759 215	***-569 460***	***89,31%***
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	11 326 220	1 381 080	827 200	***-553 880***	***59,90%***
1,3	სხვა შემოსავლები	410 360	89 825	131 719	***41 894***	***146,64%***
2	არაფინანსური აქტივების კლება	**30 000**	**0**	**26 228**	***26 228***	***#DIV/0!***
	ჯამი	**33 014 980**	**6 799 580**	**5 744 362**	**-1 055 218**	**84,48%**

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 17,40 % -ია.



შემოსავლები

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 6 799 580 ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 5 718 134 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 84.10%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 4 759 215 ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 5 325 675 ლარის 89.31%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 83.23%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი _ ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **-32 252** ლარი, კერძოდ: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) შეადგინა **-36 192** ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) შეადგინა 485 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე შეადგინა 1 338 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე შეადგინა 2 118 ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადები - მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 5 278 675 ლარს, ხოლო საკასო - 4 791 467 ლარს, შესრულდა 90.77%-ით. კერძოდ, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 2 049 356 ლარი და გადასახადი იმპორტირებული პროდუქციიდან - 2 742 111 ლარი.

გრანტები

2026 წლის 3 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 827 200 ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 1 381 080 ლარს, გეგმა შესრულდა 59.90%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 769 530 ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერის სახით - 80 664 ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 480 286 ლარი და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერი - 208 580 ლარი (სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების გაწევის მიზნით).

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 14.47%-ია.

#	შემოსულობების დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის 3 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	**სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები**	**11 326 220**	**1 381 080**	**827 200**	**-553 880**
1,1	სპეციალური ტრანსფერი	2 324 000	656 000	480 286	***-175 714***
1,2	გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან	167 640	90 300	57 670	***-32 630***
1,3	კაპიტალური ტრანსფერი	8 626 000	426 200	80 664	***-345 536***
1,4	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	208 580	208 580	208 580,00	***0***
ჯამი		**11 326 220**	**1 381 080**	**827 200,4**	**-553 880**

<u>სხვა შემოსავლები</u>

სხვა შემოსავლების 2026 წლის 3 თვის საპროგნოზო მოცულობა 89 825 ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 131 719 ლარი, ანუ გეგმის 146.64%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 2%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 72 252 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 875 ლარი) 520.73%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 18 857 ლარი, რაც პირველი კვარტლის გეგმის - 10 000 ლარის 188.57%-ს შეადგენს.

- რენტის სახით მიღებულია 53 395 ლარი, რაც პირველი კვარტლის გეგმა 44 250 ლარია.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 6 244 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 000 ლარი) 52.03%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით _ 3 844 ლარი.

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან _ 2 400 ლარი.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 12 393 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 950 ლარის) 88.84%-ია.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებულის სახით მობილიზებულია 40829 ლარი, რაც მეორე კვარტლის გეგმის (50 000 ლარი) 81.66%-ია.



ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის სხვა შემოსავლები

შემოსულობების დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
სხვა შემოსავალი	**410 860**	**89 825**	**131 719**
შემოსავალი საკუთრებიდან	**145 500**	**13 875**	**72 252**
პროცენტი	50 000	10 000	18 857
რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	50 000	10 000	18 857
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	50 000	10 000	18 857
რენტა	95 500	3 875	53 395
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	92 500	3 775	52 135
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	55 000	2 275	8 140
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	30 000	1 200	767
მოსაკრებელი გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის			328
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	4 500	180	0
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	500	20	242
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	2 500	100	42 658
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	3 000	100	1 260
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**70 000**	**12 000**	**6 244**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	65 000	11 000	3 844
სანებართვო მოსაკრებლები	50 000	7 000	562
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	50 000	7 000	562
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	15 000	4 000	3 282
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	5 000	1 000	2 400
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5 000	1 000	2 400

შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5 000	1 000	2 400
სანქციები, ჯარიმები და საურავები	**40 000**	**13 950**	**12 393**
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	30 000	7 250	10 258
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	6 000	1 750	2 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სახელმწიფო საკუთრების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	2 000	0	0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	1 000	500	0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	20 000	5 000	6 738
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	17 000	4 250	6 523
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	3 000	750	215
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	1 000		1 020
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო			500
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	5 000	1 700	2 131
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	5 000	5 000	5
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**155 360**	**50 000**	**40 829**
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	155 360	50 000	40 829
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	155 360	50 000	40 829
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	155 360	50 000	40 829

ა.ა.ი.პ.ქედის კულტურის ცენტრის მიერ 2025 წელს ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში

ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი თავისი პროფილით არის მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო, ორგანიზაციულ- მასობრივი და საინფორმაციო მუშაობის ცენტრი, რომელიც მუშაობს ხუთი ძირითადი მიმართულებით:

1. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა;
2. ფოლკლორული მუშაობა;
3. საბიბლიოთეკო მუშაობა;
4. მხატვრულ -შემოქმედებითი საქმიანობა;
5. მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობა.

კულტურის ცენტრში შემავალი ორგანიზაციებია:

მოსწავლე- ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება;

საბიბლიოთეკო განყოფილება;

სასოფლო კლუბები და კულტურის სახლები;

შემოქმედებითი კოლექტივები;

წლების განმავლობაში (2007-2025 წლები) დიდი ყურადღება ეთმობა მუნიციპალიტეტში ფოლკლორისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საკითხს: ფოლკლორული მასალების მოძიებასა და დამუშავებას, ხალხური რეწვის მივიწყებული ტრადიციული დარგების აღორძინებასა და პოპულარიზაციაზე ზრუნვას; მუსიკალური ოჯახების გამოვლენას, ხალხში შემორჩენილი ფოლკლორული, ზეპირსიტყვიერი, მუსიკალური და ქორეოგრაფიული, ნიმუშების მოძიებასა და გამოყენებას სხვადასხვა ღონისძიებაში .

ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრს ჰყავს სერთიფიცირებული ანსამბლები, რომლებიც წარმატებით გამოდიან მუნიციპალურ, რეგიონულ და საერთაშორისო ფესტივალებში.

2025 წლისათვის კ/ ცენტრის ბიუჯეტი შეადგენდა 2089600 ლარს. კულტურულ ღონისძიებებში დაიხარჯა 28231 ლარი. კულტურის ცენტრში შტატით 107 თანამშრომელი ირიცხება, შტატგარეშე-78. სულ- 185 თანამშრომელი).)

საკავშირო ფესტივალი

ქალთა ფოლკლორული ანსამბლი იაგუნდის მონაწილეობა ქ. თბილისში გამართულ ფესტივალში ,,ნანინა"-1 მაისი;

საერთაშორისო ფესტივალი

აჭარაში ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებული საერთაშორისო ფესტივალი ,,ტურიზმი -ექსპო ბათუმი”- ანსამბლები : ვაჟთა ფოლკლრული ანსამბლი ,,ელესა“, რომელსაც პატივად ხვდა ფესტივალის გახსნა; ქალთა ფოლკლორული ანსამბლი ,,იაგუნდი“, მერისის კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,მოყვარე“, მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების წრეები-10-11 მაისი;

ქედის სალოტბარო სკოლის მონაწილეობა სასკოლო ოლიმპიადის დასკვნითი ტურში -პირველი ადგილი-18 მაისი;

სახალხო ანსამბლი ,,ბეთლემი" პროექტ ნიჭიერის ნახევარფინალში-8 აპრილი;

გასტროლი

სახალხო ანსამბლ ,,ბეთლემის" გასტროლი თურქეთის ქალაქ გაზიფაშაში მსოფლიო ცეკვების ფესტივალზე-16-29 ივლისი;

დაჯილდოვდნენ:

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის მასწავლებლის ეროვნულ დღეზე დაჯილდოვდა ქედის კულტურის ცენტრის მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის დაწყებითი მოდელირებისა და ხელგარჯილობის წრის ხელმძღვანელი მარეხ დიასამიძე-23 სექტემბერი;

კულტურის სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის,,საპატიო ქედელის“ წოდებით დაჯილდოვდა ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ ,,ელესას“ წევრი ნოდარ გორგაძე-22 ნოემბერი;

სახალხო დღესასწაუალები

ჩავატარეთ სახალხო დღესასწაული ,,ნამეფვარობა“-12 სექტემბერს ქედის მუნიციპალიტეტის ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საზაფხულო იალაღ ,,ნამეფვარზე;

მონაწილეობა მივიღეთ სახალხო დღესასწაულ ,,შემოდგომა ქედაში“ და შუამთობაზე საზაფხულო იალაღ სარიჩაირში-5 აგვისტო;

სულ კულტურის ცენტრმა 2025 წელს ჩაატარა 20 ღონისძიება;

კულტურის ცენტრის სრუქტურულ ერთეულებში ჩატარდა 37 სხვადასხვა თემატური ღონისძიება, ერთი ფოლკლორული ექსპედიცია და 2 ტურისტული ლაშქრობა უჩხითისა და მაჭახლის ხეობაში;

ქედის კულტურის ცენტრი

2025 წელი

ჩავატარეთ

საშობაო-საახალწლო გალა კონცერტი-12 იანვარი;

წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე-5 თებერვალი;

გიორგი მაზნიაშვილის -155 წელი-25 თებერვალი ; ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ 1921 წლის თებერვალში. გიორგი მაზნიაშვილის როლი ამ დიდ საქმეში-25 თებერვალი;

დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი (ქედის კულტურის ცენტრის, სახელოვნებო სკოლისა და ცხმორისის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებელები, ცხმორისის კულტურის სახლი-3-8 მარტი;

სახალხო ანსამბლი „ბეთლემი" პროექტ ნიჭიერის ნახევარფინალში-8 აპრილი;

9 აპრილი-ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე / ქალაქ თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, რუსთაველის გამზირზე დატრიალებული ტრაგედიის გამოძახილი-9 აპრილი;

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“- ქართული ენის სახელმწიფოებრივი დღე-საბიბლიოთეკო განყოფილება-14 აპრილი;

წიგნის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის აღნიშვნა საბიბლიოთეკო განყოფილებაში / ახალი წიგნების პრეზენტაცია;

პოეტ მირზა გელოვანის 105 წლის იუბილე-საბიბლიოთეკო განყოფილება-23-28 აპრილი;

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი / კონცერტი ტარდება დაბა ქედაში ღია ცის ქვეშ, რომელშიც მონაწილეობენ კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული და ვოკალური ანსამბლები, ასევე ინდივიდუალური შემსრულებლები, პარალელურად , სასოფლო კლუბებსა და კულტურის სახლებში დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება კვირეულის ფარგლებში-26 მაისი;

ნოდარ დუმბაძის 125 წლის იუბილე ქედის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილებაში (მწერლისა და პოეტის როლი ქართული კულტურის , სიტყვიერების

ისტორიაში და მარადისობა, დღემდე რომ გრძელდება. მონაწილეობენ კულტურის ცენტრში არსებულ მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის ნორჩ დეკლამატორთა წრის წევრები და ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები)-15 ივნისი;

აკაკი წერეთლის 185 წლის იუბილე კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილებაში-21 ივნისი;

სახალხო ზეიმი ,,ნამეფვარობა“- 12 სექტემბერი;

მასწავლებლის ეროვნულ დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება-23 სექტემებრი;

მიხეილ ჯავახიშვილი-145 წლის იუბილე კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილებაში-10 ნოემბერი;

,,რომ მეფე ვარ და მგოსანი,და სიმღერით ვკვდები“- გალაკტიონი-125 წლის იუბილე ქედის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილებაში-18 ნოემბერი;

მონაწილეობა მივიღეთ:

ქალთა ფოლკლორული ანსამბლი იაგუნდის მონაწილეობა ქ. თბილისში გამართულ ,,ნანინა" ფესტივალში-1 მაისი;

ფაშიზმზე გამარჯვების მეოთხმოცე წლისთავი-9 მაისი;

მონაწილეობის მიღება აჭარაში ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებაში ,,ტურიზმი -ექსპრო”-10-11 მაისი;

ქედის სალოტბარო სკოლის მონაწილეობა აჭარის ა/რ მიერ ორგანიზებულ სასკოლო ოლიმპიადის დასკვნით ტურში -პირველი ადგილი-18 მაისი;

სახალხო ანსამბლ ,,ბეთლემის" გასტროლი თურქეთის ქალაქ გაზიფაშაში მსოფლიო ცეკვების ფესტივალი-16-29 ივლისი;

შუამთობა საზაფხულო იალაღ სარიჩაირიში-5 აგვისტო;

სახალხო დღესასწაული ,,შემოდგომა ქედაში“-22 ნოემბერი;

კულტურის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების, კლუბებისა და კულტურის სახლების მიერ 2025 წელს ჩატარებული ღონისძიებები:

საახალწლო-საშობაო ღონისძიებები: ცხმორისის კ/ სახლი, მახუნცეთის კ/სახლი, , მერისის კ/სახლი, წონიარისის კ/ სახლი; გეგელიძეების, ახოს, დანდალოს, სოფელ დანდალოს, ხარაულის, კოკოტაურის, სოფელ ცხმორისის კვაშტის, ზესოფლის, ინაშარიძეების, სიხალიძეების, სოფელ მერისის , მეძიბნის , ოქტომბრის, ორცვის, დოლოგნის, უჩხითის, ზუნდაგის, პირველი მაისის, აგარის სასოფლო კლუბი-კვირეულის ფარგლები- 27 დეკემბერი, 7 იანვარი;

დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი- 8 მარტი-ცხმორისის კ/ სახლი, მახუნცეთის კ/სახლი, , მერისის კ/სახლი, წონიარისის კ/ სახლი; გეგელიძეების, ახოს, დანდალოს, სოფელ დანდალოს, ხარაულის, კოკოტაურის, სოფელ ცხმორისის, კვაშტის, ზესოფლის, ინაშარიძეების, სიხალიძეების, სოფელ მერისის , მეძიბნის , ოქტომბრის, ორცვის, დოლოგნის, უჩხითის, ზუნდაგის, პირველი მაისის, აგარის სასოფლო კლუბი-3-8 მარტი;

ქართული ენის სახელმწიფოებრივი დღე, 14 აპრილი-სოფელ დანდალოსა და ხარაულის სასოფლო კლუბები-14 აპრილი;

ფაშიზმზე გამარჯვების მეოთხმოცე წლისთავი-9 მაისი- წონიარისისა და ცხმორისის კ/სახლები-9 მაისი;

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება-კულტურის ცენტრი, ყველა სასოფლო კლუბი და კულტურის სახლი-26 მაისი ;

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე-კვაშტის სასოფლო კლუბი-1 ივნისი;

სახალხო დღესასწაულები: „ნამეფვარობა“-ცხმორისის კ/ სახლი, გეგელიძეების, ახოს, დანდალოს, სოფელ დანდალოს, ხარაულის, კოკოტაურის, სოფელ ცხმორისის სასოფლო კლუბები-12 სექტემბერი;

„შემოდგომა ქედაში“ -ქედის კულტურის ცენტრი, ყველა კულტურის სახლი და სასოფლო კლუბი-22 ნოემბერი;

შუამთობა-მთა სარიჩაირი-ცხმორისის კ/ სახლი, გეგელიძეების, ახოს, დანდალოს, სოფელ დანდალოს, ხარაულის, კოკოტაურის, სოფელ ცხმორისის სასოფლო კლუბები-5 აგვისტო;

ზესოფლელობა-ზესოფლის, კვაშტის, ვაიოს, ზვარის სასოფლო კლუბები-1 აგვისტო;

ფოლკლორული ღონისძიებები: ხარაულისა და ვაიოს

სასოფლო კლუბები- აგვისტო, სექტემბერი;

ექსედიციები:

ექსპედიცია უჩხითის ხეობაში, მთავარანგელოზის გამოქვაბულში და აბრეშუმის გზის მაჭახლის ხეობაში გადასასვლელი ბილიკი. კონცერტი. ზეპირსიტყვიერი მასალების ჩაწერა;

სასოფლო კლუბები და კულტურის სახლები

ხარაულის კლუბი

3-8 მარტი-დედისა და ქალთა დღე ,,დედა მებრძოლი ერთიანი საქართველოსთვის“-;

26 მაისი

ფოლკლორის ღონისძიება ,,კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“

,,შემოდგომა ქედაში;

საახალწლო ღონისძიება ,,მოდის ახალი წელი“

დანდალო-თემური

საახალწლო კონცერტი

,,ენა დედაა ერისა“- დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება-14 აპრილი;

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,ენა, მამული, სარწმუნოება“

სახალხო დღესასწაული ,,შემოდგომა ქედაში -22 ნოემბერი;

შუამთობა სარიჩაირის მთაზე;

საახალწლო კარნავალი;

ცხმორისის კულტურის სახლი

საახალწლო კონცერტი;

დედავ, სიცოცხლის დიდო საწყისო“-დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი სარაიონო ღონისძიება;

9 მაისი-ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაული;

სახალხო დღესასწაული ,,ნამეფვარობა“;

სახალხო დღესასწაული ,,შემოდგომა ქედაში“;

ზესოფლის კლუბი

საახალწლო ზეიმი ,,ფეხბედნიერი ყოფილიყავი ,ახალო წელო“

ზესოფლელობა-8 აგვისტო;

სახალხო დღესასწაული ,,შემოდგომა ქედაში“;

დოლოგანი

,,დედავ სიცოცხლის დიდო საწყისო“-;

,,თავისუფლება ლომთა ხვედრია“-26 მაისი;

ქედელობა’

მახუნცეთი

საახალწლო ღონისძიება ,,მრავალჟამიერ, წელო ახალო“- 12 იანვარი;

,,ქალი-დედა-ცოცხალი საოცრება-

ექსპედიცია უჩხითის ხეობაში, მთავარანგელოზის გამოქვაბულში და აბრეშუმის გზის მაჭახლის ხეობაში გადასასვლელი ბილიკი. კონცერტი მოსახლეობასთან;

აგარა

ქალი დედა-ცოცხალი საოცრება- დედისა და ქალთა დღე

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღე- ,,თავისუფლება ლომთა ხვედრია’

ექკურსია ცივასულას ციხეზე;

ქედელობა-22 ნოემბერი,

პირველი მაისი

საახალწლო ღონისძიება ,,მრავალჟამიერ, წელო ახალო“-12 იანვარი;

,,ქალი-დედა-ცოცხალი საოცრება-

ექსპედიცია უჩხითის ხეობაში, მთავარანგელოზის გამოქვაბულში და აბრეშუმის გზის მაჭახლის ხეობაში გადასასვლელი ბილიკი. კონცერტი მოსახლეობასთან;

კვაშტის სასოფლო კლუბი

საახალწლო ზეიმი ,,გზა დაგელოცოს, წელო ახალო“-26.12.2025 წელი

დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,გაზაფხული დედის გულში გაფურჩქნილი ყვავილია“-8.03.

ბავშვთა დაცვის დღე ,,ბავშვები-ჩვენი ცხოვრების იმედი“-1 ივნისი;

სახალხო ზეიმი ,,შემოდგომა ქედაში“-22.11.

ზუნდაგის სასოფლო კლუბი

,,მრავალჟამიერ ,წელო ახალო!“-11 იანვარი

დედისა და ქალთა დღე,,ქალი დედა, ცოცხალი არსება“

ქედელობა

ზვარის სასოფლო კლუბი

დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება თემაზე ,,ო, ენავ, ჩემო, დედაო ენავ“-14 აპრილი

სახალხო დღესასწაული ,,ზვარელობა“-23 ნოემბერი

საახალწლო კარნავალი ,,გილოცავთ, გილოცავთ, ახალ წელს გილოცავთ“

ვაიოს სასოფლო კლუბი

1. საახალწლო კარნავალი თემაზე ,,წელო, წელო, ახლო“- იანვარი;
2. . დედისა და ქალთა დრისადმი მიძღვნილი საღამო ,,ქალიც და მარტიც გაზაფხულია“- მარტი;
3. 26 მაისთან დაკავშირებული ღონისძიება-26 მაისი;

4. ფოკლორული ღონისძიება თემაზე ,,ეძიე მარგალიტები“-სექტემბერი;

საქართველო GEORGIA

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
Autonomous Republic of Adjara

ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი

დ. ქედა, ტბ. აბუსერიძის ქ. №10

ელ. ფოსტა: qedamuzeumi@gmail.com

№ 01-18/10 19 მაისი 2026 წელი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ამირან ცინცაძეს

ბატონო ამირან,

თქვენი წერილი (ნომერი 95-95261331 13/05/2026) შესაბამისად, გაწვდით ა.(ა).ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმის მიერ 2025 წელს გაწეული სამუშაოს ანგარიშს.

ისტორიული მუზეუმი წარმოადგენს სამეცნიერო (საგანმამათლებლო) კვლევით ცენტრს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ქედის მუნიციპალიტეტში არსებული მატერიალური კულტურისა და ისტორიული ძეგლების აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა (შესაძლებლობისა და კანონმდებლობის ფარგლებში) და მათი პოპულარიზაცია რეგიონულ და საერთაშორისო არენაზე.

შესაბამისად გაცნობებთ რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში უკვე 44 სტატუსიანი ძეგლი გვაქვს და მომლოდინე კი ოცდაატზე მეტია რომლის აღიარებაც ხდება ეტაპობრივად ჩვენს მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე.

მუზეუმი დაფუძნებიდან (1999 წ) დღემდე აქტიურადაა ჩართულია ზემო აღნიშნულ საქმიანობაში. 2025 წელს მივიღე მონაწილეობა ორ საერთაშორისო კონფერენციაში - „ჩვენი სულიერების ბალავარი IV“, სადაც წარვადგინე და ფართო

საზოგადოებას გავაცანი (სადაც მონაწილეობას ღებულობდა 7 ქვეყნის წარმომადგენლობა) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული სალოცავები, უძველესი დროიდან ღემდე და იქ აღმოჩენილი არტეფაქტები. საინტერესო და მნიშვნელოვანია ნამონასტრევის მეათე საუკუნის ეკლესიის ქვაზე წარწერის გაშიფვრა. სწორედაც მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცივილიზაციები" წარვადგინე თემა პროფესორ უჩა ოქროპირიძესთან თანაავტორობით „აკავრეთა-ნამონასტრევის ქვის წარწერისათვის".

ასევე მინდა გაცნობოთ მეტად სასიამოვნო ინფორმაცია იმასთან დაკავთირები, რომ 2025 წელს სამუშაო ვიზიტად, მივლინებით ვიმყოფებოდი თურქეთის რესპუბლიკაში ძველ არქივში. საიდანაც ჩამოვიტანე უნიკალური მასალები ქედის მუნიციპალიტეტის შესახებ, კერძოდ 1832 წლის ქედის მუნიციპალიტეტის სახელობით ოჯახების აღწერა (მხოლოდ მამაკაცების) და ყოველივე ეს ვთარგმნეთ ქართულად. ამ ყოველივეს მალე მიეცემა წიგნის სახე და გეცნობა ფართო საზოგადოება. აქვე მინდა ვთქვა რომ ამ საქმეში დიდი თანადგომა და დახმარება გაგვიწია პროფესორმა ოსმალურის უბადლო მცოდნემ ბატონმა ზაზა შაშიკაძემ.

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა მეტად შრომატევადია მაგრამ ამასთან საინტერესო და საზოგადოებისათვის საჭიროა წარსულის გასაცნობად.

პატივისცემით,

არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი
ასისტენტ პროფესორი

ა.(ა).ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმის

დირექტორი /ვაჟა ფარტენაძე/

Vazha Digitally signed by Vazha